# 21-ე საუკუნის გამოწვევა- კიბერტერორიზმი

ლუკა კარანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე, სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

**სისხლის სამართალი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

# განაცხადი

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია კიბერტერორიზმის დანაშაული. კვლევის პროცესში დადგენილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი შედეგები.

ნაშრომი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან ესენია: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა. თითოეული მათგანი დაყოფილია თავებად და ქვეთავებად, რაც ნაშრომთან მუშაობას გაუადვილებს მკითხველს. ნაშრომის თავში იხილავთ ასევე სარჩევს, ხოლო ნაშრომის ბოლოს არის ყველა იმ სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც გამოყენებული იქნა ნაშრომზე მუშაობისას.

# აბსტრაქტი

`          სამაგისტრო ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ჰიბრიდული ტერორიზმის, კერძოდ კიბერ ტერორიზმის არსის გაანალიზება, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის შედარება საქართველოში მოქმედ პრაქტიკასთან. ნაშრომში ხდება გამიჯვნაკიბერტერორიზმისა და ამ ცნებასთან ახლოს დაკავშირებული სხვა კიბერ სივრცეში არსებული დანაშაულებების, როგორიცაა კიბერ ომი, კიბერ თავდასხმა, ცრუ ინფორმაციები ე.წ. *fake news*. ნაშრომი კიბერტერორიზმით დაინტერესებულ მკითხველს მიაწვდის ამომწურავ და სრულყოფილ ინფორმაციას აღნიშნულ დანაშაულზე, დაეხმარება მას მის გაანალიზებაში და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოჩენაში.

`          საიებო სიტყვები: ჰიბრიდული ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ანტიტერორისტული საქმიანობა, კომპიუტერული ქსელი, ინფორმაციული ვაკუუმი, სახელმწიფო დონის უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური ზიანი, კიბერტერორისტული ქმედებები, საზოგადოებრივი პანიკა, კიბერ თავდასხმა, საინფორმაციო ქსელი, ჰაკერული თავდასხმა.

## Abstract

The novelty of this work is to analyze the essence of hybrid terrorism, namely cyber terrorism, and compare the best practices in the world with established practice in Georgia. The paper makes a distinction between terrorism and other crimes related to this concept, such as cyber war, cyber attack, fake news, etc. The work will provide the reader, interested in the topic of hybrid terrorism, with complete and comprehensive information/overview regarding the said crime and will guide them through analysis and identification of the related challenges/issues.

Tag words are: hybrid terrorism, cyber terrorism, anti-terrorism activities, computer network, information vacuum, state level security, psychological harm, acts of cyber terrorism, public panic, cyber attack, information network, hacking.